

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №44**

9 ივნისი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი -მარიამ კვერნაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **საკრ.№15-032315965-03 8/06/23(11-01231592488)**

2. ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.041) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032315018-03 30/05/23**

3. ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. **საკრ.№12-032315018-03 30/05/23**

4. ქალაქ თბილისში, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “. **საკრ.№12-032315018-03 30/05/23**

5. ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2-ში, კორპუს N3-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002, N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკრ.№12-032315640-03 5/06/23; “საკრ.№12-032315658-03 5/06/23

6. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11-ში არსებული 96.81 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032314555-03 25/05/23**

7. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N10-ში მდებარე 107.97 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032314555-03 25/05/23**

8. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში არსებული 28.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032315838-03 7/06/23**

9. ქალაქ თბილისში, რთველადის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.025.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

საკრ.№12-032315838-03 7/06/23

10. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 87.43 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032315838-03 7/06/23**

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N221 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. **საკრ.№12-032313795-03 17/05/23**

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. **საკრ.№12-032313795-03 17/05/23**

13. ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 2388 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032314555-03 25/05/23**

14. ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლიღომში არსებული 2020 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032314555-03 25/05/23**

15. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143-ის მიმდებარედ არსებული 75.31 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.182.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032313794-03 17/05/23**

16. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 19.65 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1056) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032313794-03 17/05/23**

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032313829-03 18/05/23**

18. ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე--46-21692 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-0323149119-03 30/05/23**

19. „ქ. თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარედ არსებული 3136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.004.010) 78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კენკოსთვის“ (ს/ნ: 400325359) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.“ **საკრ.№12-032314556-03 26/05/23**

20. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022“-ისთვის (ს/ნ: 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12- 032314983-03 29/05/23**

21. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ: 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12- 032313795-03 17/05/23**

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ: 400324056) შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ: 400324056) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032313787-03 17/05/23**

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (აღმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 და №26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032313792-03 17/05/23**

24. მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფიტალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფიტალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03231591-03 8/06/23**

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ: 243859749) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03231592-03 8/06/23**

26. „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ: N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ : N01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-03231593-03 8/06/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

კვარტალური ცვლილებების შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ.

შესათანხმებლად წარმოდგენილია რაიონული გამგეობის მოთხოვნები კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში.

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა ყველა ცვლილების შესახებ.

გარდა ამისა ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამაში „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ (პროგ/კოდი 02 02) პირველი კვარტლის გეგმის გაზრდას 160 200 ლარით და მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 839 800 ლარით. „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ (პროგ/კოდი 02 09 01) პროგრამაში მეორე კვარტლის გეგმის გაზრდას 500 000 ლარით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, პროგრამა „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია“ (პროგ/კოდი 08 06 03) მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 500 000 ლარით, შესაბამისად მცირდება პროგრამის „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა“ (პროგ/კოდი 08 06 04). აღნიშნავენ, რომ ვარკეთილი-3, 3 მ/რ კორპ.319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან, მულტიფუნქციური ცენტრის ეზოში უნდა მოეწყოს ორი პადელის მოედანი და ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედანი.

ასევე წარმოდგენილია საკრებულოს ასიგნებების მეორე კვარტლის ცვლილება.

საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 4 967825 ლარით, მესამე და მეოთხე კვარტლების შემცირების ხარჯზე, რაც ბალანსდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის გაზრდით 1 325 285 ლარით და ნაშთის ცვლილებით 3 642 540 ლარით.

მომხრე- 6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობები, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერნაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.041) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში, მე-11 სართულზე არსებული 70.00 კვ.მ ფართის, ბინა N41-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.041) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინათინ ჩახაიას

(პ/ნ 19001066235), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს ცნობით დგინდება, რომ თინათინი ჩახაია 20 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით კი დასტურდება, რომ თინათინი ჩახაია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2001 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში, მესამე სართულზე არსებული 46.52 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია ბალიაშვილს (პ/ნ 43001037856).

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მაია ბალიაშვილი ოჯახთან ერთად 2010 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N20-ში, მეორე სართულზე არსებული 15.37 კვ.მ ფართის ბინა N8-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარიამ ჩიქოვანს (პ/ნ 48001027537).

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მარიამი ჩიქოვანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 12 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე; ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მარიამი ჩიქოვანი ოჯახთან ერთად 2011 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2-ში, კორპუს N3-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002, N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2-ში, კორპუს N3-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002, N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონება, საერთო ჯამში 328,85 კვმ საცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, საკუთრებაში გადაეცემა 6 პირს(ოჯახს), რომლებიც შსს ცნობითა და ნოტარიულად დამოწმებული მეზობლების ცნობით ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ და სარებლობენ აღნიშნული ფართებით. კერძოდ: გიორგი ლაფერაშვილი (01005033050) -50,9 კვმ; მაია გოგაშვილი (01020013509)-65,57 კვმ; ბახვა ქოქაშვილი (01030011299) -51.45 კვმ; ლეილა ბუიძე (25001038154)-49.21 კვმ; ლელა მგელაძე (33001020352)-35,98 კვმ; ესმა თორდია)19001028497)-75.74 კვმ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11-ში არსებული 96.81 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11, სართული 1, შენობა N1-ში მდებარე 96.81 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.501) და ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11, სართული 2-ზე მდებარე 11.40 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნელი ხაჯალიას (პ/ნ: 01011070763) , რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ დაახლოებით 29 წელია (1991 წლიდან) ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N10-ში მდებარე 107.97 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N10, ბინა N2, სართული 1-2-ზე მდებარე 107.97 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.002), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე რუსუდან ბალავაძეს (პ/ნ: 01019026570) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს ცნობით დგინდება, რომ მოქალაქე რუსუდან ბალავაძე (პ/ნ: 01019026570) დაახლოებით 29 წელია (1991 წლიდან) ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 1991 წლიდან.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში არსებული 28.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2, სართული 1, ბინა N2-ში არსებული 28.91 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ავთანდილ ხუბულურს (პ/ნ: 59001022169).

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ავთანდილ ხუბულური 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;

ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რთველადის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.025.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, რთველადის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი N01.17.12.025.001) მდებარე უძრავი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემ 3 პირს (ოჯახს)(მოქალაქე ნანა გოხაძე (პ/ნ: 01033006865) ; მოქალაქე ნანა გოხაძე (პ/ნ: 01033006865); მოქალაქე ლია ჭანტურია (პ/ნ: 01027024883)) . ეს მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 133.52 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2006-2011-2013 წლებიდან ცხოვრობენ და სარგებლობენ აღნიშნული ფართებით.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 87.43 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, გიორგი სააკაძის ქუჩა N30, სართული 2, შენობა N2-ში არსებული 87.43 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მიხეილ რობაქიძეს (პ/ნ: 01003006487).

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე მიხეილ რობაქიძე (პ/ნ: 01003006487) 1995 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის ვაკის რაიონის გამგეობის ცნობით - 1999 წლიდან;

მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით დასტურდება, რომ მოქალაქე მიხეილ რობაქიძე ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებული მოკვლევისა და მოქალაქე მიხეილ რობაქიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ 1999 წლის 31 მაისს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და კომერციულ კონკურსში გამარჯვებულ ფიზიკურ პირებს შორის დაიდო „იჯარა გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულება“. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარის მიერ გაცემული და მოიჯარის მიერ მიღებული უძრავი ქონების (ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, სააკაძის ქუჩა N30-ში (წინა მისამართი: სააკაძის ქუჩა N20) მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა)

საპრივატიზებო ღირებულება შეადგენდა 24 230 აშშ დოლარს, ექვივალენტი ლარში, ხოლო 1999 წლის 30 ივნისს უძრავი ქონების მფლობელებსა და მიწის მართვის დეპარტამენტის წყნეთის განყოფილების წარმომადგენლების მონაწილეობით მიღებულ იქნა ოქმი N4, რომლის შესაბამისადაც დაბა წყნეთის გამგეობასთან არსებული მიწათსარგებლობისა და საბინაო საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ წარდგენილ იქნა საერთო სარგებლობის უზოს გადანაწილების სქემატური ნახაზი.

ამასთან, 2001 წლის 22 ივნისს დადებული „წილის დათმობის ხელშეკრულების“ საფუძველზე, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებასა და ოქმ N4-ში ქონების ერთ-ერთ მფლობელი ჩაანაცვლა მოქალაქე მიხეილ რობაქიძემ (პ/ნ: 01003006487). მიხეილ რობაქიძეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (თავისი წილის 9.87 %-ის საპრივატიზებო საფასურის გადახდა) შესრულებული აქვს ნაწილობრივ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N221 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის N22.717.781 განკარგულებითა და „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N221 განკარგულებით მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23, სართული 6, ბინა N30, I ბლოკში მდებარე 92.00 კვ.მ უძრავი ქონების (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) საპრივატიზებო საფასურისა (134,000 ლარი) და მოქალაქე ავთანდილ ჯანჯალიასთვის (პ/ნ:01030010797) საპრივატიზებო საფასურის 3%-ის ოდენობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (4,020 ლარი) გადახდის შემთხვევაში, მოქალაქე გიორგი მოდებაძის (პ/ნ: 01001095588) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა მოქალაქეების ავთანდილ ჯანჯალიას და გიორგი მოდებაძის განცხადებები ზემოაღნიშნული განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2022 წლის 18 მაისის N22.717.781 განკარგულება და აღნიშნულის თაობაზე საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში, საკრებულოს 2022 წლის 20 ივნისის N221 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 18 მაისის N22.719.780 განკარგულებითა და „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულებით მიღებულია გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23, სართული 3, ბინა N14, I ბლოკში მდებარე 44.80 კვ.მ უძრავი ქონების (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) საპრივატიზებო საფასურისა (70,640 ლარი) და მოქალაქე ავთანდილ ჯანჯალიასთვის (პ/ნ:01030010797) საპრივატიზებო საფასურის 3%-ის ოდენობით განსაზღვრული მომსახურების საფასურის (2,119 ლარი) გადახდის შემთხვევაში მოქალაქე გიორგი ცუცქერიძის (პ/ნ: 54001055365) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა მოქალაქეების ავთანდილ ჯანჯალიას და მოქალაქე გიორგი ცუცქერიძის განცხადებები ზემოაღნიშნული განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2022 წლის 18 მაისის N22.719.780 განკარგულება და აღნიშნულის თაობაზე საკითხი წარედგინოს საკრებულოს, შემდგომში საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე არსებული 2388 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 10 თებერვლს წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა, რომელმაც ითხოვა ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე არსებული 3238 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.096) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ყოვლადწმინდა დვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრამდე (საკადასტრო კოდი: N01.12.06.004.007) მისასვლელი გზის და სკვერის მოსაწყობად.

მომხსენებლის განმარტებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩვეული მითითებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.096) განკარგვა მხოლოდ საცხოვრებელი ზონის საზღვრებში, N01.12.06.004.007 საკადასტრო ერთეულამდე მისასვლელი გზის და სკვერის მოსაწყობის მიზნით. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა N01.12.06.001.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამიჯვნა.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება N01.12.06.001.096 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნის შედეგად რეგისტრირებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული 2020 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 13 მარტს წარედგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის წერილი, რომელითაც ითხოვენ ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული 2020 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში წმინდა მთავარანგელოზ მიქაელის და გაბრიელის სახელობის მამათა მონასტრის (საკადასტრო კოდი: N81.08.20.468) სამრეკლოს, კელიებისა და სამეურნეო შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

ქონების მართვის სააგენტომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად განახორციელა მოთხოვნილი უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია და დღეის მდგომარეობით 2020 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია N01.81.08.416.001 საკადასტრო კოდით.

თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შესაძლებლად იქნა მიჩნეული მითითებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) განკარგვა, მოთხოვნილი მიზნობრიობის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება N01.81.08.416.001 საკადასტრო ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143-ის მიმდებარედ არსებული 75.31 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.182.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143-ის მიმდებარედ, სართული 1-ზე არსებული 75.31 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.182.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მილანა როჭიკაშვილს (პ/ნ: 01011077827). მოქალაქე მილანა როჭიკაშვილი (პ/ნ: 01011077827) შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ 2008 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით 2008-2009 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 19.65 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1056) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48, სადარბაზო 1, სართული 7-ზე არსებული 19.65 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1056) პირდაპირი განკარგვის

ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე იური ლესელიძეს (პ/ნ: 01017040667), რომელიც შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე იური ლესელიძე (პ/ნ: 01017040667) 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ 245416401) შორის 2013 წელს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმის (ხელშეკრულების) საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა №13-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/031, არსებული 6926 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.19.18.001.031; შემდგომში - „ქონება“). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“. იმავე წელს განხორციელდა №01.19.18.001.031 და №01.19.18.001.008 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება, რის შედეგადაც, უძრავ ქონებას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი - №01.19.18.001.039.

კომპანიამ 2023 წელს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება, ვინაიდან „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესში 2019 წლის 12 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად (მუხლი 8, პუნქტი 7¹), მოცემული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის - სასაწყობო შენობის განთავსების მიზნით და ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული №01.19.18.001.031 და №01.19.18.001.008 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ №01.19.18.001.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ გაუქმება.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 01 თებერვალს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა მყიდველმა და მოითხოვა ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა და ქონების განკარგვის დროისათვის შესაბამისი პირობის („მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“) გარეშე ამავე ქონების საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობის დაანგარიშების თაობაზე შესაბამისი დასკვნის მომზადება. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილის თანახმად, მისთვის უცნობია რას გულისხმობს „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს

განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ პირობა და შესაბამისად, მის მიერ ვერ დგინდება ამცირებს თუ არა ქონების ღირებულებას. დასკვნის გამოკვლევის ნაწილში მითითებულია, რომ ვინაიდან №01.19.18.001.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არ არის შემუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა და უცნობია შესაფასებელ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში კონკრეტულად რას გულისხმობს აღნიშნული პირობა, ექსპერტების მიერ მიღებულია დაშვება, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა არ შეცვლის მიწის ნაკვეთის სამშენებლო მოცულობას, მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა სამრეწველო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებთან შედარებით, შესაბამისად, მიწის ნაკვეთი შეფასდა არსებული ფუნქციური ზონის (ს-1) გათვალისწინებით. ამასთან, №01.19.18.001.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასდა 2023 წლის 1 მაისის მდგომარეობით. კერძოდ, მიწის ნაკვეთის პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გარეშე დადგინდეს საბაზრო ღირებულებასა (1 072 577 ლარი) და ამავე მიწის ნაკვეთის პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ გათვალისწინებით დადგინდეს ღირებულებას (1 055 277 ლარი) შორის სხვაობამ შეადგინა 17 300 ლარი, აღნიშნულ სხვაობად კი მიჩნეულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის აღბომის მომზადების ღირებულება, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ №E-168-11-6569 ოქმში (ხელშეკრულებაში) ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 მაისის №23.713.795 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმებას.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 17 300 ლარის გადახდას.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ: 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე--46-21692 ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2017 წელს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-ვადაგაგრძელებული-46-21692 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) საფუძველზე, ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ: 01009004220) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 9695 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.06.003.035). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში (სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა)“. აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, ქონების საბოლოო საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 358 600 ლარით.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული უძრავი ქონება დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია №01.14.06.006.163 (5538 კვ.მ.) და №01.14.06.006.164 (4157 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულების სახით. №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ფილიგრინი“ (ს/კ: 405498929), №01.14.06.006.164 კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრეს კი - ფ/პ თამარ ჭაბაშვილი (პ/ნ: 01024017794).

2023 წელს სააგენტოს განცხადებით მომართეს №01.14.06.006.163 და №01.14.06.006.164 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებმა და მოითხოვეს №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ოქმისა და ხელშეკრულების საფუძველზე არსებული სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობის პირობის გაუქმება. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მოწყობა იგეგმება №01.14.06.006.164 საკადასტრო კოდით არსებულ საკადასტრო ერთეულზე, ხოლო №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, „ქალაქ თბილისში, ვაკის რიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის №59 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №659 განკარგულებით დამტკიცებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, №01.14.06.006.164 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სექტორი №1) გათვალისწინებულია სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობა, ხოლო, №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სექტორი №2) - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

სააგენტოს წერილით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ეთხოვა დასკვნის მომზადება, რომელიც დაადგენდა აუქციონზე შეძენილი №01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა (358 600 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ს/კ: 01.14.06.006.163) „სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობის“ პირობის გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით. აღნიშნული წერილის პასუხად წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კორესპონდენციის თანახმად, შესაფასებელი ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე 2017 წლის მდგომარეობით (აუქციონის დროისთვის) ყიდვა-გაყიდვის შესახებ ინფორმაციების არქონის გამო, ბიუროს მიერ ვერ მოხდა აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სააგენტომ წერილობით სთხოვა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნის მომზადება, რომელიც დაადგენდა №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით არსებული 5538 კვ.მ. მიწის ნაკვეთის უძრავი ქონების დღევანდელ საბაზრო ღირებულებას ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობითა და ამ პირობის გარეშე. ბიუროს 2023 წლის 11 მაისის №003195523 დასკვნის თანახმად, აღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულება ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით შეადგენს 2 636 088 (ორი მილიონ ექვსას ოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდარვა) ლარს, ხოლო ამ პირობის გარეშე - 3 500 016 (სამი მილიონ ხუთასი ათას თექვსმეტი) ლარს. შესაბამისად, ფასთა შორის სხვაობა შეადგენს 863 928 (რვაას სამოცდასამი ათას ცხრაას ოცდარვა) ლარს. შპს „ფილიგრინმა“ თანხმობა განაცხადა, №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების სანაცვლოდ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ოქმითა და ხელშეკრულებით პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.003.035) დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის შესაბამისად, აღნიშნული ქონების ნაწილზე (ს/კ: 01.14.06.006.164) დაგეგმილია სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის, ხოლო ნაწილზე (ს/კ: 01.14.06.006.163) - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა №12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.06.006.163) ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობის“ პირობის გაუქმებას. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ ამ განკარგულების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის) გამოცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში №01.14.06.006.163 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების მესაკუთრე (შპს „ფილიგრინი“) სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობას - 863 928 (რვაას სამოცდასამი ათას ცხრაას ოცდარვა) ლარს.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარედ არსებული 3136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.004.010) 78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კენკოსთვის“ (ს/ნ: 400325359) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.“

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „კენკოს“ (ს/ნ: 400325359) დირექტორმა, ელექტრონული განცხადებებით მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარედ 78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, 2027 წლის 10 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: 01.18.03.004.002), 5 წლის ვადით, 2022 წლის 10 თებერვლის იჯარის ხელშეკრულებით.

მოთხოვნილ 78 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა ასევე შესაძლებლად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა.

მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია - 23400 ლარის ოდენობით, იჯარის მოქმედების ვადა 2027 წლის 10 თებერვლამდე პერიოდი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022“-ისთვის (ს/ნ: 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა შპს „ეი ჯი პი სი 2022“-ს (ს/ნ: 405578307) ღია კაფეს განთავსების მიზნით. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრა 3 000 ლარის ოდენობით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ: 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, მურმანი ღონღაძემ (პ/ნ: 57001003366) განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.216) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ფიზიკური პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, გლდანის მასივში, მე-3 და მე-4 მიკრო/რაიონებს შორის მდებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ N01.11.12.003.001.01.543 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 41.15 კვ.მ უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი თანხმობა. საიჯარო ქირა განისაზღვრა 6 660 ლარით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ: 400324056) შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ: 400324056) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, 2022 წლის 27 ივლისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, განკარგულებებისა და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- ხელშეკრულების შესაბამისად სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე, შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ

ფართობზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვების მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი);

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4. პუნქტი);

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2023 წლის 27 იანვრისა, თუმცა მშენებლობის ნებართვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია 2023 წლის 10 თებერვლის № 6321782 ბრძანებით. ამასთან, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, კომპანიას კოოპერატივების წევრებისთვის უნდა გადაეცა საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართობზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვების მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო ნებართვა გაცემულ იქნა 2023 წლის 10 თებერვალს, კომპანიას კოოპერატივების წევრებისთვის საკუთრების უფლების გადაცემა და განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართობზე ამონაწერების მომზადება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 10 აპრილის ჩათვლით, თუმცა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ინდივიდუალურ ფართობზე შესაბამისი ამონაწერების მომზადება განხორციელდა 2023 წლის 20 აპრილს.

კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულებების ვადის დარღვევა, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ: მშენებლობის პროექტის შეთანხმებაზე თანხმობა გაიცა გვიან, ამავე დროს. 2021 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, რასთან დაკავშირებითაც კომპანია ვალდებული იყო წარედგინა - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დასკვნა და გრაფიკული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტის მომზადებას კი დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო. აგრეთვე, ვადის გაჭიანურება გამოიწვია საპროექტო არეალში საკომუნიკაციო ქსელების გადატანის პროცესმა, ვინაიდან ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების მხრიდან თანხმობის მოპოვებას დასჭირდა დადგენილ ვადაზე მეტი დრო.

ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 34 500 ლარით.

კომპანიამ განცხადებით მომართა სააგენტოს ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით.

შესათანხმებლად წარმოდგენილია ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ: 400324056) გათავისუფლების საკითხი.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 და №26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „საინვესტიციო კომპანია თბილისს“ (ს/ნ 402099322), რომლის უფლებამონაცვლეა შპს „პრემიუმ ქონსტრაქშენ დეველოპმენტი“, ს/ნ 405505608), შორის, 2019 წლის 20 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქუჩა №22-ში მდებარე 532 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.01.027.019) და ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქუჩა №24-ში მდებარე 360 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.01.027.004). ორივე მიწის ნაკვეთის განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“. იმავე წელს განხორციელდა

№01.17.01.027.019 და №01.17.01.027.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება, რის შედეგადაც, უძრავ ქონებას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი - №01.17.01.027.032.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მყიდველმა 2023 წლის 14 თებერვლის განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა №01.17.01.027.019 და №01.17.01.027.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება, ვინაიდან მოცემულ ტერიტორიაზე არ არის შემუშავებული ჩარჩო გეგმა და ამავდროულად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 8 ივლისის №5015489 გადაწყვეტილების საფუძველზე შეთანხმებულია სასტუმროს არქიტექტურული პროექტი.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და მათი პოზიით შესაძლებლად იქნა მიჩნეული №01.17.01.027.019 და №01.17.01.027.004 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ №01.17.01.027.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ გაუქმება. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 5 მაისის წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთების აუქციონის წესით განკარგვისას, ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულების/საწყის საპრივატიზებო საფასურში არ იყო გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს 2019 წლის 8 თებერვალს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-446-15-23098 ოქმითა (ხელშეკრულებით) და 2019 წლის 28 თებერვლის №26392 და №26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განაშენიანება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში“ - გაუქმებას.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და სს „გრინ ქეფიტალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფიტალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფიტალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, 2021 წლის 21 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ”, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, განკარგულებებისა და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

ხელშეკრულების შესაბამისად, მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების უზრუნველყოფა, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4 პუნქტი);

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვის მოპოვება - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 3 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ასევე, პარკის მშენებლობის ნებართვის მოპოვება - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.5 პუნქტი);

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 21 სექტემბერს, შესაბამისად, მიწის ნაკვეთებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა დამტკიცებულიყო არაუგვიანეს 2022 წლის 21 სექტემბრისა, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა დაგვიანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 და N206 განკარგულებების საფუძველზე.

ამასთან, ხელშეკრულების 3.5 პუნქტის თანახმად, კომპანიამ იკისრა ვალდებულება, სამშენებლო პროექტის პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო პარკის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იმის გათვალისწინებით, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა დაგვიანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 და N206 განკარგულებებით, დღევანდელი მდგომარეობით არ არის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და შესაბამისად, არც სამშენებლო ნებართვაა გაცემული.

2023 წლის 29 მაისის განცხადების თანახმად, კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულებების ვადის დარღვევა, გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ:

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის გათვალისწინებით, არ მოხდა ინტერესთა გამოხატვაში დაფიქსირებული კ2 (0,8) კოეფიციენტის სრულად ათვისება, რის თაობაზეც ურბანულ სამსახურთან თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და შესაბამისად, მცირედი ცვლილებები იქნა შეტანილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში. ამასთან, ურბანული სამსახურის მიერ საპროექტო არეალში მოთხოვნილ იქნა შენობა-ნაგებობების რენდერები და ფასაღები, რომელიც ჩვეულებრივ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე არ მოითხოვება, აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას მოუწია პროექტირების პროცესის დაწყება და შესაბამისი დონისძიებების, მათ შორის არქიტექტურული შიდა კონკურსის ჩატარება/გამოცხადება, არქიტექტურული კომპანიის შერჩევა და შესაბამისი ხელშეკრულების დადება, რასაც დასჭირდა დამატებითი დრო.

გარდა ამისა, ურბანული სამსახურის მოთხოვნით, საპროექტო არეალში განმეორებით ჩატარდა დეტალური გეოლოგიური კვლევა, რაზეც ასევე, დაიხარჯა დამატებითი დრო.

ასევე, კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული, 110 კილო-ვოლტიანი (საკადასტრო კოდი N84.00.021) ელექტროენერჯის გადამცემი ხაზის გადატანასთან დაკავშირებით, კომპანიას დასჭირდა საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება და შესაბამისი დამატებითი დროის რესურსი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია ძირითადად წარმოადგენს ქალაქის სუბურბანულ ნაწილს, საინჟინრო ინფრასტრუქტურის მესაკუთრეებისგან წერილების წარმოდგენას დასჭირდა დიდი ვადები, საკითხის კომპლექსური შესწავლის საჭიროების გამო, ასევე, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია განეკუთვნება რთული რელიეფურ ზონას, დაგეგმარებას დასჭირდა იმაზე მეტი დრო რაც სტანდარტულ ბრტყელ რელიეფზე გათვალისწინებული. შესაბამისად, კომპანიის მიერ ძირითადი ვალდებულების - კოოპერატივის წევრების ბინებით უზრუნველყოფისთვის, ურბანულ სამსახურთან შეთანხმებით, განაშენიანების რეგულირების გეგმა ორ ნაწილად გაიყო (დიდ და პატარა არეალებად გამოიყვნა), რათა მომხდარიყო პატარა არეალის ფორსირება, სადაც განხორციელდება კოოპერატივის წევრების ბინით უზრუნველყოფა და მითითებულმა გამოიყვნა/დაყოფის პროცესმა მოითხოვა დამატებითი დრო.

კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა, 2023 წლის 7 ივნისის მდგომარეობით, განისაზღვრება ჯამურად - 516 000 ლარით და იზრდება ყოველდღიურად ამ განკარგულებით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმებამდე.

კომპანიამ, 2023 წლის 29 მაისის განცხადებით, სააგენტოს მომართა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით და ასევე, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. კომპანიის განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეაფერხა ზემოაღნიშნულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, მხარეთა შორის ფორმდება შეთანხმება, რისი მიხედვითაც ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია, მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) თვის ვადაში. ამავე ხელშეკრულების 3.5 პუნქტის მიხედვით, კომპანია ვალდებულია, სამშენებლო პროექტის პირველი ლოტის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 23 თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო პარკის მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 26 თვისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ: 243859749) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, 2021 წლის 29 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და

კომპანიას შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ყოფილი კონკრეტული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/მათმა უფლებამონაცვლებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

-ხელშეკრულების შესაბამისად სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განხორციელოს საცხოვრებელი ფართების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, კოოპერატივების წევრებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, ხოლო შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობის დასრულებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, აღნიშნულ ფართები გადასცეს მათ ფაქტობრივად ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით. (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი)

-ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.5. პუნქტი)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 29 სექტემბრისა, თუმცა მშენებლობის ნებართვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 2023 წლის 16 იანვრის № 6286232 ბრძანებით.

ვინაიდან სამშენებლო ნებართვის მოპოვებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ბოლო დღიდან (2022 წლის 30 სექტემბრიდან) სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად მიღებამდე (2023 წლის 16 იანვრამდე) გასულია 108 დღე, პირგასამტეხლოს ოდენობაა 75 600 ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 16 იანვრიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 16 მარტის ჩათვლით. შესაბამისად, 2023 წლის 17 მარტიდან 2023 წლის 31 მაისამდე გასულია 75 დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 52 500 ლარს, შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 128 100 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის №23.806.894 განკარგულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ხელშეკრულების 3.1. და 3.5. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ: 243859749) გათავისუფლება.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ნინო წულაძე, ანა გოგოლაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ: N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ : N01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ: N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ : N01.19.20.020.083)

არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის N23.800.909 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ: N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ: N01.19.20.020.083) არსებული უძრავი ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, ამავე დანართით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, I კვარტალში მდებარე, I კორპუსში (ს/კ N 01.19.20.029.010) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, კვარტალი IV, კორპუსი 1-ში (ს/კ N01.19.20.023.015) არსებული უძრავი ქონებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის გზით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N1 და დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტის შესაბამისად.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე